

თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაია ჩიგოგიძე

**კორონარული კოლატერალური ცირკულაციის პრედიქტორები გულის  
იშემიური დაავადების მწვავე მიმდინარეობის დროს**

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

ხელმძღვანელები: პროფესორი ნინო შარაშიძე  
პროფესორი ზურაბ ფაღავა

თბილისი  
2023

## შესავალი

### აქტუალობა

კორონარული კოლატერალური ცირკულაცია(კვც) კორონარული არტერიების დაავადების დროს წარმოადგენს სისხლის მიმოქცევის ალტერნატიულ საშუალებას მიოკარდის იშემიურ რეგიონში (Celik T. et al., 2010, Stoller M. et al., 2015). თუმცა, კოლატერალური სისხლის მიმოქცევის განვითარების მექანიზმები კვლავ საკვლევიან.

ანგიოგენეზი და არტერიოგენეზი განიხილება იშემიის დროს მიოკარდიუმის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებელ ენდოგენურ მექანიზმებად, ხოლო კორონარული კოლატერალების არსებობა კორონარული არტერიის დაავადების მქონე პაციენტებში გრძელვადიანი სიცოცხლის უნარიანობის ერთ-ერთი პრედიქტორია (Spadaccio C. et al.,2022).

არტერიული ქსელების სტრუქტურის ოპტიმიზირება უზრუნველყოფს ეფექტური ნაკადის მიწოდება მეტაბოლურად აქტიურ ქსოვილებში. ნაკადის მიწოდების ოპტიმიზაცია უწყვეტი პროცესია, რომელიც მოიცავს მიკროცირკულაციის სტრუქტურისა და ფუნქციის სინქრონიზაციას (Kogame N. et al., 2020).

მრავალი წლის განმავლობაში ფიქრობდნენ, რომ კოლატერალური სისხლის მიმოქცევის განვითარების ერთადერთი საფუძველი იყო იშემია. თუმცა კვლევებმა ვერ დაამტკიცა აღნიშნული ფაქტი (Meier P et al., 2013). კორონარული კოლატერალები აღმოჩენილია ინდივიდებში, კორონარული არტერიული დაავადების-ის გარეშეც (ე.წ. ნატიური კოლატერალები). კორონარული კოლატერალების (CC) განვითარება ავლენს ინდივიდუალურ ცვალებადობას. შემოვლითი არტერიული კავშირების ფორმირება იწყება ემბრიონულ პერიოდში და ძირითადად განპირობებულია გენეტიკური ფაქტორებით (Faber JE et al., Wang S et al., 2010), სტრუქტურულად კორონარული კოლატერალები ნანახი იქნა ახალდაბადებულთა 80%-ში. კორონარულ ცირკულაციას გააჩნია ანასტომოზების ქსელი კორონარული არტერიების დაავადების არ არსებობის პირობებშიც, საჭიროების შემთხვევაში ისინი გადაიქცევიან კორონარულ კოლატერალებად და შეუძლიათ მიოკარდიუმის იშემიის პრევენცია ხანმოკლე კორონარული ოკლუზიისას ინდივიდების 1/4-ში (Seiler C.2010). სიცოცხლის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვანი როლი შესაძლებელია ჰქონდეთ სხვა ფიზიოლოგიურ ფაქტორებს, როგორცაა გულისცემის სიხშირე და არტერიული წნევა (De Marchi SF,2014). ნაჩვენებია ხილული კორონარული კოლატერალების 39%-მდე გავრცელება კად-ისგან თავისუფალ პოპულაციაში (Chu A.A. et al., 2019, Schaper W et al., 2012).

კლინიკური კვლევებით აღწერილია მრავალი დამოუკიდებელი ანგიოგრაფიული და კლინიკური ფაქტორის ვარიაბელობა, რომელიც კორელაციაშია კოლატერალური ქსელის განვითარების ხარისხთან. ჯანმრთელ ინდივიდებში კორონარული კოლატერული ცირკულაციის ინტენსივობა კორელირებს ჰიპერტენზიასა და მოსვენების გულისცემის სიხშირესთან. განსხვავებული მონაცემებია პაციენტებში კორონარული არტერიების დაავადების სიმძიმესა და კორონარული სტენოზის ხარისხს, ანგიური ტკივილის ხანგრძლივობასა და ხანდაზმულობას, სისხლძარღვის პროქსიმალური დაზიანების ლოკალიზაციასა და ხანგრძლივ ოკლუზიას შორის (Le Noble F. et al., 2022). ცნობილია, რომ კოლატერალების გამართული ფუნქციონირება ასოცირებულია გულისცემის დაბალ სიხშირესთან და არტერიული ჰიპერტენზიის არ არსებობასთან. კორონარული არტერიების დაავადების განვითარებასთან ერთად კოლატერალების განვითარება განაპირობებს იშემიის პრევენციას პაციენტების 1/3-ში, ხოლო ფუნქციურად კარგად განვითარებული კორონარული კოლატერალები აღნიშნულ პაციენტებში ამცირებენ სიკვდილობას (Schirmer SH et al. 2008).

ჩვეულებრივ, კარგი განვლადობის ეპიკარდიულ არტერიაში კოლატერალების მეშვეობით სისხლის ნაკადი მინიმალურია ან წულის ტოლია. რიგი კვლევების მიხედვით კორონარული არტერიის სტენოზი და ოკლუზია არის კორონარული კოლატერალური ზრდის/რემოდელირების დომინანტური ტრიგერი (Kalkan ME et al., 2014, Rentrop KP et al. 1988, Reto BM et al., 2019; Zhonghua L, et al., 2012). არტერიოგენეზი ანუ უკვე ჩამოყალიბებული ანასტომოზების რემოდელირება/რეკრუტირება კოლატერალური სისხლის მიმოქცევის განვითარების წამყვანი მექანიზმია სტაბილური კორონარული არტერიების დაავადების დროს (Seiler C, 2013). კოლატერალური სისხლის მიმოქცევის ძირითადი წყარო მწვავე იშემიის პირობებშიც წინასწარ ჩამოყალიბებული კოლატერალების მობილიზებას უკავშირდება. თუმცა, მწვავე იშემია ასევე დაკავშირებულია ანგიოგენეზთან – ახალი კაპილარული ცირკულაციის წარმოქმნასთან იშემიის ზონის გარშემო (Nacar A.B. et al., 2014). საინტერესოა, რომ ერთის მხრივ კორონარული კოლატერალების განვითარება ასახავს კორონარული არტერიული დაავადების სიმძიმეს, ხოლო მეორე მხრივ, განვითარებულ კოლატერალების ქსელს, როგორც სისხლის მიწოდების ალტერნატიულ წყაროს, აქვს დამცავი ეფექტი იშემიის დროს საფრთხის ქვეშ მყოფ მიოკარდთან მიმართებაში. მოიპოვება კვლევები კორონარული კოლატერალური ცირკულაციის პროგნოზულ როლთან დაკავშირებით მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის დროს (Alsanjari O. et al. 2018, Cui K, et al., 2018; Elias J et al., 2017, Şen Ö, et al. 2017). გამოვლინდა კორონარულია კოლატერალური ცირკულაციის პრევენციული როლი კარდიოგენური შოკის და მარცხენა პარკუჭის

ანევრიზმის განვითარებისათვის მიოკარდიუმის ინფარქტის მქონე პაციენტებში( Seiler C.et al. 2013). არსებობს ფაქტორები,(გარდა წნევის გრადიენტისა, დაზიანებულ სისხლძარღვებთან დამაკავშირებელი ძირითადი კოლატერალების გასწვრივ), რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყოს კოლატერალური ქსელის რემოდელირებასა და განვითარებას. ვარაუდობენ, რომ კოლატერალური სისხლის მომოქცევის განვითარების პრედიქტორთა შორის მნიშვნელოვანია პერიფერიული სისხლის ზოგიერთი მაჩვენებელი, კერძოდ: ეოზინოფილების კონცენტრაცია პერიფერიულ სისხლში და ნეიტროფილ ლიმფოციტის ფარდობა(N/L Ratio) (S Werner G.2014 et al.), ანთებითი მედიატორების გამოყოფა, ზრდის ფაქტორები: სისხლძარღვთა ენდოთელიუმის ზრდის ფაქტორი,  $\beta$ - [TGF- $\beta$ ], ქემოკინები( Stoller M,2014). ლიმფოციტები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს მიოკარდიუმის რემოდელირების პროცესში ანთების დროს მაგალითად, CD4+ T მარეგულირებელი უჯრედები წარმოადგენს სპეციალურ ანთების საწინააღმდეგო იმუნური მარეგულირებელი ლიმფოციტების ქვეჯგუფს, რომელიც წარმოიქმნება თიმუსში და ძალიან გამდიდრებულია T უჯრედებისთვის აუტოანტიგენის სპეციფიკურობით (Stoller M,2014 et al.). T უჯრედები აუცილებელია პროანგიოგენური მაკროფაგებისა და კოლატერალური არტერიების ფორმირებისთვის (Tang T.T. et al., 2014, Yan X.,2013 et al.). ფაქტორებმა, რომლებიც გავლენას ახდენენ კორონარული კოლატერალების ფორმირებაზე, შეიძლება შეასრულონ პრედიქტორების როლი მწვავე და ქრონიკული კორონარული არტერიების დაავადების მქონე პაციენტებში დაავადების შემდგომ პროგნოზირებაში (Chen C. et al.). CAD-ით დაავადებულ პაციენტში კოლატერალური კორონარული ცირკულაციის დეტერმინანტები მრავალფაქტორულია (Chen C,2018, et al.; Xing Z,2018). რიგი კვლევების მიხედვით კარგი კოლატერალების მქონე პაციენტები იყვნენ უფრო ახალგაზრდა ასაკის (63.1 - 65.1 წლის,  $p < 0.05$ ), ჰქონდათ უფრო ხანგრძლივი იშემიის პერიოდი (628.5- 433.1 წთ,  $p < 0.0001$ ) და უფრო მეტად გამოხატული არტერიის ქრონიკული ტოტალური ოკლუზია, რაც არ იყო დაკავშირებული მიოკარდიუმის ინფარქტთან.

(Meier P. at al.) მიხედვით კოლატერალების არსებობა ასოცირებული იყო მარცხენა პარკუჭის ნორმალურ ან ზომიერად დაქვეითებულ განდევნის ფრაქციასთან (83.5% წინააღმდეგ 63.2%,  $p < 0.0001$ ) და დაბალ ჰოსპიტალურ სიკვდილიანობასთან (2.1% 7.6% წინააღმდეგ 7.6%,  $p < 0.0001$ )( Nelson G.I.et al.).

ზემოხსენებულიდან გამომდინარე დღემდე აქტუალური რჩება მიოკარდიუმის იშემიის მწვავე გამოვლინების მქონე პაციენტებში კორონარული კოლატერალური ცირკულაციის განვითარებასთან დაკავშირებული ფაქტორების კვლევა.

წარმოდგენილი კვლევის მიზანია კორონარული კოლატერალური სისხლის მიმოქცევის განვითარების პრედიქტორების გამოვლენა მწვავე კორონარული სინდრომის დროს.

### **კვლევის ამოცანები:**

1. კორონარული კოლატერალების განვითარების შეფასება გულის იშემიური დაავადების მწვავე მიმდინარეობის დროს Rentrop-ის კლასიფიკაციის მიხედვით
2. კორონარული კოლატერალური სისხლის მიმოქცევის გენდერული განსხვავებების დადგენა კორონარული დაავადების მწვავე მიმდინარეობის დროს.
3. დემოგრაფიულ-კლინიკურ მახასიათებლებსა და კორონარულ კოლატერალურ სისხლის მიმოქცევას შორის კავშირის შესწავლა.
4. კორელაციური კავშირის განსაზღვრა კორონარული კოლატერალური სისხლის მიმოქცევასა და კორონარული დაზიანების ანატომიურ თავისებურებებს შორის მწვავე კორონარული სინდრომის დროს.
5. კავშირის დადგენა პერიფერიული სისხლის კომპონენტებსა და კორონარული კოლატერალების განვითარებას შორის მწვავე კორონარული სინდრომის მქონე პაციენტებში

### **სამეცნიერო სიახლე:**

პირველად ქართულ პოპულაციაში დადგინდა:

- კორონარული კოლატერალური სისხლის მიმოქცევის გენდერული თავისებურებები მწვავე კორონარული სინდრომის დროს
- დადგინდა კავშირი პერიფერიული სისხლის კომპონენტებსა და კორონარული კოლატერალების განვითარებას შორის; შეფასდა პერიფერიული სისხლის ინდექსების სადიაგნოსტიკო მგრძობელობა, სპეციფიურობა და პროგნოზული ღირებულება, კორონარული კოლატერალური სისხლის მიმოქცევის შესაფასებლად მწვავე კორონარული სინდრომის დროს.

- გამოვლინდა კორონარული კოლატერალური სისხლის მიმოქცევის განვითარების განამაპირობებელი რიგი პროგნოზული ფაქტორები მწვავე კორონარული სინდრომის დროს.

### **პრაქტიკული ღირებულება:**

შრომის შედეგების საფუძველზე დამყარებული პრაქტიკული რეკომენდაციები გამოყენებული იქნება კოლატერული სისხლის მიმოქცევის პროგნოზირებისათვის.

### **პუბლიკაციები და აპრობაცია:**

დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებულია 4 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის საერთაშორისო რეცენზირებად, რეფერირებად, იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში

### **სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა**

ნაშრომში წარმოდგენილია 131 გვერდზე და შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის მასალა და მეთოდები, საკუთარი კვლევის შედეგები, მიღებული შედეგების განხილვა, დასკვნები, პრაქტიკული რეკომენდაციები. გამოყენებული ლიტერატურის სია, რომელიც მოიცავს 198 წყაროს. შედეგები ასახულია 18 დიაგრამასა და 21 ცხრილში.

კვლევა ჩატარდა 27-დან 94-წლამდე(64.7+11.48) ასაკის 673 პაციენტს, რომლებიც მკურნალობლენ 2014-წლის 28 იანვრიდან 2017წლის 28 ინავრამდე ქ თბილისში, შპს „სამგორი -მედის“---- კლინიკაში, გულის იშემიური დაავადების დიაგნოზით. მათ შორის 236 ქალი და და 437 მამაკაცი.

**ჩართვის კრიტერიუმები:** პაციენტები გულის მწვავე კორონარული დაავადებით. (STEMI, NSTEMI და არასტაბილური სტენოკარდია), ინფორმირებული თხნობა კვლევაში ჩართვაზე

**გამორიცხვის კრიტერიუმები:** ქრონიკული სისტემური და ონკოლოგიური დაავადებები.

**გამოკვლევის მეთოდები:** ანამნეზი, კორონაროანგიოგრაფია, სისხლის კლინიკურ-ლაბორატორიული და ბიოქიმიური გამოკვლევა. რომელიც სრულდებოდა შემდეგ აპარატურაზე:


სისხლის საერთო- HumaCount 30. ტროპონინი i-STAT1. კრეატინინი mindray BA-88A.

კოლატერალური ცირკულაციის განსაზღვრა ხდებოდა რენტროპის კლასიფიკაციის მიხედვით. პაციენტები განაწილებულ იქნა ორ ჯგუფად: პირველ ჯგუფში მოხვდა პირობითად ცუდი კოლატერალების მქონე პაციენტები, რენტროპი 0-1 კლასიფიკაციით (456 პაციენტი), ხოლო მეორე ჯგუფში - პაციენტები კარგი კოლატერალებით რენტროპი 2-3 კლასიფიკაციით (217 პაციენტი). ორივე ჯგუფში შევისწავლეთ: პერიფერიული სისხლის კომპონენტების და ბიოქიმიური მახასიათებლების საშუალო მნიშვნელობები. აგრეთვე - სქესი, ასაკი, კარდიოვასკულური რისკფაქტორები მწვავე საკუთრივ კორონარული დაავადების მიმდინარეობა – კორონარული სინდრომი, სტაბილური სტენოკარდია, გადატანილი კარდიოლოგიური ჩარევები, თანმხლები დაავადებები, ანგიოგრაფიული მახასიათებლები, მარცხენა პარკუჭის სისტოლური ფუნქცია, რეგიონული კუმშვადობა და დიასტოლური ფუნქცია;

**სტატისტიკური ანალიზი:** რაოდენობრივი მაჩვენებლებისათვის ვსაზღვრავდით საშუალოს და საშუალო კვადრატულ გადახრას, ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის სიხშირეს და %-ს. სარწმუნო განსხვავებას რაოდენობრივი მაჩვენებლებისათვის ვსაზღვრავდით სტუდენტის t კრიტერიუმით დამოუკიდებელი მაჩვენებლებისათვის, ხოლო ხარისხობრივის შემთხვევაში - ფიშერის F კრიტერიუმით. განსხვავება ითვლებოდა სარწმუნოდ, როდესაც  $p < 0.05$ . ფარდობითი შანსის გამოსათვლელად გამოვიყენეთ მულტივარიაციული ბინარული ლოგისტიკური რეგრესიული ანალიზი, განვსაზღვრეთ პროგნოზული სისხლის კომპონენტების მგრძნობელობა და სპეციფიურობა ROC ანალიზის საშუალებით. სტატისტიკური ანალიზი განხორციელდა SPSS 23-ის გამოყენებით.

#### 4.1.საკუთარი მასალის დახასიათება

ჩვენს მიერ შესწავლილ 673 პაციენტს შორის ასაკი ვარირებდა 27-94 წწ ფარგლებში, საშუალო ასაკი - 64.7+11.5. მწვავე კორონარული სინდრომის მიხედვით პაციენტების განაწილება მოცემულია 4.1.1 დიაგრამაზე.



დიაგრამა 4.1.1


პაციენტთა 35-35%-ს ჰქონდა მძიმე ST-ით და ST-ს გარეშე, 30%-ს არასტაბილური სტენოკარდია.

განაწილება კოლატერალური სისხლის მიმოქცევის მიხედვით მოცემულია 4.1.2 დიაგრამაზე. პაციენტთა უმრავლესობას (53%) აღმოაჩნდა ცუდად განვითარებული კოლატერალური სისხლის მიმოქცევა, 15%-ს - rentrop 1, 22%-ს - rentrop 2 , ხოლო 10%-ს - rentrop 3.



## განაწილება რენტროპის მიხედვით

■ rentrop0 ■ rentrop1 ■ rentrop2 ■ rentrop3



დიაგრამა 4.1.2

### 4.2. პაციენტთა მახასიათებლების შეფასება კოლატერალური სისხლის მიმოქცევის და ასაკის მიხედვით

პაციენტთა მახასიათებლების შეფასება კოლატერალური სისხლის მიმოქცევის და ასაკის მიხედვით მოცემულია 4.2.1. ცხრილში

ცხრილი 4.2.1. საშუალო ასაკობრივი განაწილება rentrop-ის მიხედვით

კოლატერალები	N	Mean	StD	Min.	Max.	F	P
rentrop 0	355	62.85	12.01	27	92	<b>8.40</b>	<0.0001
rentrop 1	101	64.90	10.79	40	94		
rentrop 2	147	66.84	10.49	41	87		
rentrop 3	70	69.04	9.68	47	87		
Total	673	64.67	11.47	27	94		


როგორც ცხრილიდან ჩანს, კოლატერალური სისხლის მიმოქცევა უმჯობესდება ასაკთან ერთად.

საშუალო ასაკის პაციენტებში სარწმუნოდ მაღალია rentrop 0-ის სიხშირე.ი. ე.ი., აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში ნაკლებად არის განვითარებული კოლატერალური სისხლის მიმოქცევა.


მაღალ ასაკობრივ ჯგუფში ჭარბობს მდედრობითი სქესი , ამავე ჯგუფში სარწმუნოდ მაღალია ჰიპერტენზიის, STელევაციის გარეშე მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის , CABG-ის შემთხვევები. ამასთანავე, როგორც მსუბუქად ასევე მნიშვნელოვნად დაქვეითებული განდევნის ფრაქციის სიხშირე, (45-55%, 35-45%, 35-მდე,) სარწმუნოდ მეტია მაღალ ასაკობრივ ჯგუფებში. მრავალსისხლპარღვოვანი კორონარული დაზიანება უფრო ხშირად ვლინდება ასაკის მატებასთან ერთად. ალკოჰოლის და თამბაქოს მოხმარების სიხშირე სარწმუნოდ ნაკლებია მაღალ ასაკობრივ ჯგუფებში .იგივე ტენდენცია ვლინდება ნორმალურ განდევნის ფრაქციასთან (EF% - 54 > )დაკავშირებით ,

საკვლევ პირებში კორონარული კოლატერალიზაციის ხარისხის ზრდასთან ერთად ( 0-3 მდე) იზრდება - შრატის კრეატინინის დონე , N/L-ის, ეოზინოფილის%-ის, სეგმენტბირთვიანი ნეიტროფილის %-; საერთო ნეიტროფილის % და მცირდება ლიმფოციტების საშუალო პროცენტული მნიშვნელობა.


დიაგრამებზე(4.3.1-4.3.4) მოცემულია ქალებისა და მამაკაცების შედარებითი მონაცემები კოლატერული სისხლის მიმოცევის მიხედვით.



დიაგრამა 4.3.1.



დიაგრამა 4.3.2.



დიაგრამა 4.3.3

ამრიგად, მამაკაცებსა და ქალებს შორის კოლატერალური ცირკულაციის პრედიქტორებს შორის გამოვლინდა გარკვეული განსხვავება: კაცებში კარგი კოლატერალური ცირკულაციის დროს ქალებისაგან განსხვავებით მომატებულია შემდეგი ფაქტორების სიხშირე: კორონარული ღეროს

დაზიანება, მკვეთრად დაქვეითებულია განდევნის ფრაქცია( EF -35%-მდე) , დიასტოლური ფუნქციის რესტრიქციული ტიპი, ხოლო ზომიერად დაქვეითებული განდევნის ფრაქცია( EF> 45-55%) შედარებით იშვიათია.

მამაკაცებისაგან განსხვავებით ქალებში კარგი კოლატერალური ცირკულაციის დროს ხშირია დაინტერესებული არტერიის სტენოზი.

განსხვავებულია კოლატერალური სისხლის მიმოქცევა გენდერულ ჯგუფებში ასაკის მიხედვითაც, მამაკაცებში ე,წ “კარგი “კოლატერალური ცირკულაციის (rentrop3) სიხშირე იზრდება ასაკის მატებასთან ,ხოლო „ ცუდი” (rentrop0) კოლატერალების სიხშირე მცირდება.

ქალებში არ გამოვლინდა სარწმუნო კავშირი კოლატერალიზაციის ხარისხსა და ასაკს შორის ,

#### **4.4. კორელაციები კარდიოვასკულურ რისკ ფაქტორებს, გულის სტრუქტურულ-ფუნქციურ მახასიათებლებსა და კოლატერალურ ცირკულაციასა შორის გენდერული ჯგუფების მიხედვით**

კვლევის შედეგად გამოვლინდნა განსხვავებებმა სქესის მიხედვით გვიბიძგა კოლატერალური ცირკულაციის მახასიათებლებს შორის კავშირები გამოგვეკვლია ცალკ-ცალკე ქალებსა და მამაკაცებს შორის. ცუდი კოლატერალების ჯგუფში დიფერენცირებულად გაანალიზებულია( rentrop0 და rentrop1).

კაცებში -„ცუდ“ კოლატერალებთან (rentrop0) სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს:ნორმული განდევნის ფრაქცია(EF>=55%) , ნორმალური დიასტ.ფუნქცია; ალკოჰოლის და თამბაქოს მოხმარება

-„ცუდ“ კოლატერალებთან ( rentrop0) სარწმუნო უარყოფით კორელაციას ამჟღავნებს: შაქრიანი დიაბეტითან, 5 წელზე მეტი ხანგრძლივობის სტენოკარდიასთან ,გადატანილი მი-თან,კორონარული ღეროს, რომელიმე ძირითადი კორონარული არტერიის და მრავალსისხლძარღვოვანი კორონარული დაზიანებასთან , N/L <2.7

rentrop1-თან სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს მსუბუქად დაქვეითებული განდევნის ფრაქცია ( EF%>=45-55% )

rentrop1-თან სარწმუნო უარყოფით კორელაციას ამჟღავნებს: არასტაბილური სტენოკარდია; მრავალსისხლძარღვოვანი კორონარული დაზიანება - და ნორმული განდევნის ფრაქცია(EF= 55 %)

ასევე კარგი კოლატერალების ჯგუფში დიფერენცირებულად გაანალიზებულია (rentrop2 და rentrop3)

„კარგ“ კოლატერალურ ცირკულაციასთან (rentrop2) -თან სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს: რომელიმე ძირითადი კორონარული არტერიის სტენოზი, მრავალსისხლმარღვოვანი კორონარული დაზიანება, დამნაშავე სისხლმარღვის (Culprit vessel) სტენოზი .

„კარგ“ კოლატერალურ ცირკულაციასთან (rentrop3-თან) სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს: >5 წელზე ხანგრძლივობის სტენოკარდია, მიოკარდიუმის გადატანილი ინფარქტი, რომელიმე ძირითადი კორონარული არტერიის სტენოზი, მრავალსისხლმარღვოვანი კორონარული დაზიანება, დამნაშავე სისხლმარღვის (Culprit vessel) სტენოზი. ზომიერად დაქვეითებული სისტოლური ფუნქცია (EF=35-45%); ვსევდონორმალური ტიპის დიასტოლური დისფუნქცია; ეოზინოფილების რაოდენობა  $>0.18 \cdot 10^9/ლ$ ; N/L <2.7

„კარგ“ კოლატერალურ ცირკულაციასთან (rentrop3-თან) სარწმუნო უარყოფით კორელაციას ამჟღავნებს - ნორმალური დიასტოლური ფუნქცია და დიასტოლური ფუნქციის მოშლა-მონოფაზური მრუდით გედნერული ჯგუფების მიხედვით ქალებში „ცუდ“ კოლატერალურ ცირკულაციასთან (rentrop0-თან) სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს: გულის კუნთის ნორმალური სისტოლური (EF $\geq$ 55%) და ნორმალური დიასტოლური ფუნქცია.

„ცუდ“ კოლატერალურ ცირკულაციასთან (rentrop0-თან) სარწმუნო უარყოფით კორელაციას ამჟღავნებს: შაქრიანი დიაბეტის არსებობა, >5 წელზე ხანგრძლივობის სტენოკარდია, გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტი, რომელიმე ძირითადი კორონარული არტერიის სტენოზი, მრავალსისხლმარღვოვანი კორონარული დაზიანება, დამნაშავე სისხლმარღვის (Culprit vessel) სტენოზი

„ცუდ“ კოლატერალურ ცირკულაციასთან (rentrop1-თან) სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს: გულის კუნთის მსუბუქად დაქვეითებული სისტოლური ფუნქცია (EF $\geq$ 45- 55%)

„ცუდ“ კოლატერალურ ცირკულაციასთან (rentrop1-თან) სარწმუნო უარყოფით კორელაციას ამჟღავნებს: არასტაბილური სტენოკარდიის არსებობა, მრავალსისხლმარღვოვანი კორონარული დაზიანება; გულის კუნთის შენახული სისტოლური ფუნქცია (EF $\geq$ 55%) .

„კარგ“ კოლატერალურ ცირკულაციასთან (rentrop2-თან) სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს: 2 ძირითადი კორონარული არტერიის სტენოზი LAD და RCA, დამნაშავე სისხლმარღვის (Culprit vessel) სტენოზი, მრავალსისხლმარღვოვანი კორონარული დაზიანება,

„კარგ“ კოლატერალურ ცირკულაციასთან (rentrop2-თან) სარწმუნო უაროვით კორელაციას ამჟღავნებს: ნორმალური დიასტოლური ფუნქცია და დიასტოლური დისფუნქცია მონოფაზური მრუდით

„კარგ“ კოლატერალურ ცირკულაციასთან (rentrop3-თან) სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს: >5 წელზე ხანგრძლივობის სტენოკარდია, გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტი, რომელიმე ძირითადი კორონარული არტერიის სტენოზი, მრავალსისხლმარღვოვანი კორონარული დაზიანება, ზომიერად დაქვეითებული განდევნის ფრაქცია (35-45%); დიასტოლური ფუნქციის მმოშლის ფსევდონორმალური ტიპი; ეოზინოფილების რაოდენობა > 0.18\*10<sup>9</sup>/ლ და N/L < 2.7

„კარგ“ კოლატერალურ ცირკულაციასთან ( rentrop3 -თან ) სარწმუნო უარყოფით კორელაციას ამჟღავნებს: ნორმალური დიასტოლური ფუნქცია და დიასტოლური დისფუნქციის ტიპი მონოფაზური მრუდით

#### 4.5. კორონარული კოლატერალების განვითარების პროგნოზი

კარგი კოლატერალების განვითარების პროგნოზული მახასიათებლები რეგრესიული ანალიზის მიხედვით სქესის გათვალისწინებით მოცემულია 4.5.1. ცხრილში


ცხრილი 4.5.1

ფაქტორები	B	S.E.	Wald	p	OR	95% C.I.for OR	
ეოზინოფილები(აბს)	2.85	0.86	11.13	0.0009	17.36	3.25	92.86
N/L(აბს)	-1.00	0.10	108.05	<0.0001	0.37	0.31	0.45
მამრობითი სქესი	-0.81	0.21	14.82	0.0001	0.44	0.29	0.67
გადატანილი MI	0.57	0.23	6.22	0.0126	1.76	1.13	2.75
მრავალსისხლმარღვოვანი დაზიანება	2.28	0.28	66.09	<0.0001	9.78	5.65	16.96
დაინტერესებული არტერიის სტენოზი	1.36	0.26	27.36	<0.0001	3.91	2.35	6.52
სტენოკარდია > 5 წ	1.71	0.37	20.92	<0.0001	5.55	2.66	11.57

რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ჩვენს მიერ განხილული ფაქტორებიდან კარგი კოლატერალური ცირკულაციის ფარდობით შანსს ზრდის: ეოზინოფილები, ხუთ წელზე მეტი ხანგრძლივობის სტენოკარდია, მიოკარდიუმის გადატანილი ინფარქტი ანამნეზში, დაინტერესებული არტერიის სტენოზი (culprit vessel), მრავალსისხლმარღვოვანი დაზიანება, ამცირებს ნეიტროფილურ-ლიმფოციტური ფარდობა. ამასთანავე ცუდი კოლატერალების ფარდოვითი შანსის შემამცირებელი ფაქტორია მამრობითი სქესი.

#### **4.6. ეოზინოფილების და ნეიტროფილ-ლიმფოციტური ფარდობის მგრძნობელობა და სპეციფიურობა კოლატერალური ცირკულაციის პროგნოზისათვის**

როგორც ჩვენმა კვლევამ აჩვენა, კარგი კოლატერალური ცირკულაციისათვის მაღალი პროგნოზული მნიშვნელობა გააჩნიათ ეოზინოფილებს, უნივარიაციული ლოგისტიკური ანალიზის მიხედვით ეოზინოფილების აბსოლუტური მაჩვენებელი წარმოადგენს მაღალი ხარისხის კოლატერალური ცირკულაციის პრედიქტორს - OR: (48.57, 95% CI: 11.30-208.7 (p=0.0011). ამიტომ განვსაზღვრეთ ეოზინოფილების მგრძნობელობა და სპეციფიურობა. მაღალი კორონარული ცირკულაციის განმსაზღვრელი როკ-მრუდი მოცემულია დიგრამა 3.6.1-ზე.




**დიგრამა 4.6.1.ROC მრუდი - მაღალ ხარისხის კორონარული კოლატერული ცირკულაციისთვის ეოზინოფილების პრედიქტორული მნიშვნელობა**

ეოზინოფილების მაჩვენებელი პროგნოზირებს კარგ კოლატერულ სისხლის მიმოქცევას 59.0% მგრძნობელობით და 63.6% სპეციფიურობით. (Cutoff:>0.18\*10<sup>9</sup>)

უნივარიაციული ლოგისტიკური ანალიზის მიხედვით მაღალი N/L წარმოადგენს ცუდი კოლატერალური ცირკულაციის პრედიქტორს OR: (1.47, 95% CI: 1.26-1.7(p<<0.0001). ცუდი კოლატერალური ცირკულაციისათვის პროგნოზული ფაქტორია N/L (დიგრამა 3.6.2), 68.4 მგრძნობელობით და 72.8% სპეციფიურობით. (Cutoff:>2.73\*10<sup>9</sup>)





#### დიგრამა 4.6.2

კვლევის შემდეგ ეტაპზე ჩავატარეთ კორელაციური ანალიზი ეოზინოფილების, N/L -სა და მწვავე კორონარული სინდრომის სხვა მახასიათებლებს შორის. რაოდენობის გათვალისწინებით გამოვყავით ეოზინოფილების ორი განსხვავებული პროგნოზული ჯგუფი (ეოზინოფილების რაოდენობა  $\geq 0.18 \cdot 10^9/\text{ლ}$  და  $< 0.18 \cdot 10^9/\text{ლ}$ ). კორელაციები მოცემულია 4.6.1. ცხრილში.

ცხრილი 4.6.1.კავშირი ეოზინოფილებისა და ნეიტროფილ-ლიმფოციტური სხვაობის პროგნოზულ მაჩვენებლებსა და მწვავე კორონარული სინდრომის სხვა მახასიათებლებს შორის.

ფაქტორები	კორელაცია	>0.18*10 <sup>9</sup> /ლ	N/L <2.7
N/L <2.7	R	0.190**	1.000
	P	0.000	
ქალი	R	0.070	-0.069
	P	0.053	0.073
ალკოჰოლი	R	-0.098	0.053
	P	0.011	0.168
სიგარეტის წვევა	R	-0.076*	0.070
	P	0.049	0.069
DM	R	0.077*	0.063
	P	0.045	0.103
NSTEMI	R	0.054	0.109**
	P	0.158	0.005
UA	R	-0.049	-0.108**
	P	0.207	0.005
> 5 წ	R	0.258**	0.045
	P	0.000	0.245
TIA	R	0.087*	0.018
	P	0.023	0.637
გადატანილი MI	R	0.145**	0.089*
	P	0.000	0.021
LM	R	0.179**	0.034
	P	0.000	0.382
LAD	R	0.243**	0.135**
	P	0.000	0.000
RCA	R	0.229**	0.097*
	P	0.000	0.011
LCX	R	0.194**	0.079*
	P	0.000	0.042
ინფარქტ დამოკიდებული არტერიის სტენოზი	R	0.090*	0.016
	P	0.020	0.677
მრავალსისხლმარღვოვანი კორონარული დაზიანება	R	0.405**	0.169**
	P	0.000	0.000
Rentrop 0	R	-0.944**	-0.153**
	P	0.000	0.000

Rentrop 1	R	0.163**	-0.055
	P	0.000	0.154
Rentrop 2	R	0.574**	0.134**
	P	0.000	0.000
Rentrop 3	R	0.578**	0.134**
	P	0.000	0.000
EF<36	R	0.095*	-0.037
	P	0.013	0.337
რეგიონალური ასინერჯის უზნები	R	0.087*	0.060
	P	0.023	0.119
ნორმალური დიასტოლური ფუნქცია	R	0.111**	-.017
	P	.004	.653

როგორც ცხრილიდან ჩანს, ეოზინოფილები >18 სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს: N/L <2.7; რომელიმე ძირითადი კორონარული არტერიის დაზიანებასთან, მრავალსისხლძარღვოვან დაზიანებასთან, მდედრობით სქესთან, რეგიონული ასინერჯის უზნების არსებობასთან, ფსევდონორმალური და რესტრიქციული ტიპის დიასტოლურ დისფუნქციასთან, > 5 წელზე ხანდაზმულობის სტენოკარდიასთან, ჰიპერტენზიასთან, გადატანილ მიოკარდიუმის ინფარქტთან, დაბალ განდევნის ფრაქციასთან EF %<36, კარგ კოლატერალურ ცირკულაციასთან(Rentrop 2-3). ხოლო ეოზინოფილები >0.18\*10<sup>9</sup>/ლსარწმუნო უარყოფით კორელაციას ამჟღავნებს: ნორმალური ტიპის დიასტოლურ ფუნქციასთან, ალკოჰოლის ჭარბ მოხმარებასთან, ცუდ კორონარულ კოლატერალურ(Rentrop 0 ) ცირკულაციასთან. N/L <2.7-თან დადებით კორელაციას ამჟღავნებს : მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი ST ელევაციის გარეშე, გადატანილი მი, რომელიმე ძირითადი კორონარული არტერიის სტენოზი, კარგი კოლატერალური ცირკულაცია( rentrop2, rentrop3); N/L <2.7-თან უარყოფით კორელაციას ამჟღავნებს - არასტაბილური სტენოკარდიის არსებობა და „ცუდი“ კორონარული კოლატერალური ცირკულაცია( rentrop0)

## დასკვნები

### გულის კორონარული დაავადების მწვავე მიმდინარეობის დროს:

1. კარგად განვითარებული კორონარული კოლატერალური ცირკულაცია ასოცირებულია მიოკარდიუმის გადატანილ ინფარქტთან, რომელიმე ძირითადი სისხლძარღვის (LM, LAD, RCA, LCX) დაზიანებასთან, დაქვეითებულ განდევნის ფრაქციასთან (EF 35-მდე%), მრავალსისხლძარღვოვან კორონარულ დაავადებასთან, ეოზინოფილების რაოდენობასთან  $>0.18 \cdot 10^9$ /ლ N/L-თან  $<2.7$ , ანამნეზში სტენოკარდიის 5 წელზე მეტ ხანგრძლივობასთან.

2. საკვლევ ჯგუფებში კოლატერალების განვითარების ხარისხის მატების პარალელურად (0-დან 3-მდე Rentrop-ის მიხედვით) ვლინდება შრატის კრეატინინის დონის, N/L-ის, ეოზინოფილების (%-ის), სეგმენტირთვიანი ნეიტროფილების (%-ის), ნეიტროფილების (%-ის) ზრდის ტენდენცია და მცირდება ლიმფოციტების (%-ის) საშუალო მნიშვნელობა.

3. კორონარული კოლატერალიზაციის ხარისხი უმჯობესდება ასაკის მატებასთან ერთად და ასოცირებულია კარდიოვასკულური რისკის ფაქტორების სიხშირის ზრდასთან.

4. მამრობითი სქესის ინდივიდებში:

- კორონარული კოლატერალების განვითარების მაჩვენებელთან Rentrop 0 სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს: განდევნის ნორმალური ფრაქცია, ნორმალური დიასტოლური ფუნქცია, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება და თამბაქოს მოწევა.
- კორონარული კოლატერალების განვითარების მაჩვენებელთან Rentrop 1 სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს ზომიერად დაქვეითებული განდევნის ფრაქცია (EF%  $\geq 45-55\%$ ).
- კორონარული კოლატერალების განვითარების მაჩვენებელთან Rentrop 2 სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს: LAD, RCA დზიანება; დაინტერსებული (Culprit vessel) არტერიის სტენოზი; მრავალსისხლძარღვოვანი კორონარული დაზიანება; N/L  $<2.7$ ;
- კორონარული კოლატერალების განვითარების მაჩვენებელთან Rentrop 3 სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს: ანამნეზში 5 წელზე მეტი ხანგრძლივობის სტენოკარდია; გადატანილი

მიოკარდიუმის ინფარქტი, რომელიმე ძირითადი სისხლძარღვის - LM - LAD - RCA ,LCX დაზიანება, მრავალსისხლძარღვოვანი კორონარული დაზიანება,; დიასტოლური ფუნქციის ფსევდონორმალური ტიპი ,ეოზინოფილების რაოდენობა  $>0.18 \cdot 10^9 / \text{ლ}$  N/L  $<2.7$

5. მდედრობითი სქესის ინდივიდებში;

- კორონარული კოლატერალების განვითარების მაჩვენებელთან Rentrop 0 სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს: ნორმალური განდევნის ფრაქცია და ნორმალური დიასტოლური .ფუნქცია.
- კორონარული კოლატერალების განვითარების მაჩვენებელთან Rentrop 1 სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს განდევნის ზომიერად დაქვეითებული ფრაქცია
- კორონარული კოლატერალების განვითარების მაჩვენებელთან Rentrop 2 სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს: LAD, RCA დაზიანება, დინტერსებულ არტერიის სტენოზი (Culprit vessel), მრავალსისხლძარღვოვანი კორონარული დაზიანება, N/L  $<2.7$
- კორონარული კოლატერალების განვითარების მაჩვენებელთან Rentrop 3 სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს: ანამნეზში 5 წელზე მეტი ხანგრძლივობის სტენოკარდია,; გადატანილი მი; რომელიმე ძირითადი სისხლძარღვის LM LAD RCA LCX დაზიანება, მრავალსისხლძარღვოვანი კორონარული დაზიანება, დაქვეითებული განდევნის ფრაქცია, დიასტოლური ფუნქციის ფსევდონორმალური ტიპი, ეოზინოფილების რაოდენობა  $>0.18 \cdot 10^9 / \text{ლ}$  ; N/L  $<2.7$

6. რეგრესიული ანალიზის მიხედვით კარგი კოლატერალური სისხლის მიმოქცევის ფარდობით შანსს ზრდის ეოზინოფილების რაოდენობის მატება, გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტის ისტორია, მრავალსისხლძარღვოვანი დაავადება, დაინტერსებული არტერიის სტენოზი, ანამნეზში 5 წელზე მეტი ხანგრძლივობის სტენოკარდიის არსებობა.

7. მაღალი N/L არის “ ცუდი კორონარული კოლატერალური სისხლის მიმოქცევის“ პრედიქტორი, 68.4 მგრძნობელობით და 72.8% სპეციფიკურობით.

## პრაქტიკული რეკომენდაციები:

მწვავე კორონარული სინდრომის დროს საჭიროა განისაზღვროს კორონარული კოლატერალური სისხლის მიმოქცევის განვითარების პრედიქტორები და გათვალისწინებულ იქნეს მკურნალობისას.

შემდგომი კვლევების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოლატერიზაციის მექანიზმზე მოქმედ და გამოსავლის პროგნოზულ ფაქტორებს, ასაკს, სქესს, ჩარევის ტიპს და თანმხლებ დაავადებებს.

Ivane Javakishvili Tbilisi State University

Maia Chigogidze

**Predictors of coronary collateral circulation during acute ischemic heart  
disease**

Extended Abstract of the Dissertation Thesis

Submitted to obtain the Doctor of Medicine (Ph.D. in Medicine) Academic Degree

Supervisor: Professor Nino Shrashidze  
Supervisor: Professor Zurab Faghava

Tbilisi  
2023

## Introduction

### Rationale

Coronary collateral circulation (CCC) is an alternative method for blood circulation in the ischemic area of the myocardium during coronary artery disease (Celik T. et al., 2010, Stoller M. et al., 2015). However, the mechanisms of collateral circulation development remain to be studied.

Angiogenesis and arteriogenesis, biologically are considered one of the endogenous mechanisms for maintaining myocardial viability during ischemia, while the presence of coronary collateralization is one of the predictors of long-term survival in patients with coronary artery disease (Spadaccio C. et al.,2022).

The optimization of the arterial network structure ensures optimal blood flow delivery to metabolically active tissues. Blood flow delivery optimization is a continual process that involves synchronizing the structure and function of the microvasculature (Kogame N. et al., 2020).

For many years, it was assumed that ischemia was the source of collateral blood flow development. The studies, however, did not support this claim (Meier P et al., 2013). Coronary collaterals are found in individuals without coronary artery disease (the so-called native collaterals). The development of coronary collaterals (CC) is characterized by individual variability. The initial formation of bypass arterial connections starts during the embryonic period and is mainly determined by genetic factors (Faber JE et al., Wang S et al., 2010), The structure of coronary collaterals is detected in 80% of newborns. Coronary circulation has an extensive network of anastomoses even in the absence of coronary artery disease; when needed, they become coronary collaterals and can prevent myocardial ischemia during short-term coronary occlusion in ¼ of patients (Seiler C.2010). Other physiological parameters, such as heart rate and blood pressure, may play a crucial role in later life (De Marchi SF,2014). In the CAD-free population, a prevalence of up to 39% of visible coronary collaterals has been shown (Chu A.A. et al., 2019, Schaper W et al., 2012).

